საზღვაო ნავიგაცია

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2017 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია

დარგობრივი მახასიათებელი	დასახელება:	**საზღვაო ნავიგაცია** **Maritime Navigation**			
	სარეგისტრაციო ნომერი:	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 371			
	დამტკიცების თარიღი:	13. 06. 2017			
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ (სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე)			
	დარგი/პროფესია:	რეგულირებადი			
	პროფესიის დასახელება:	გემის ნავიგატორი	Ship's Navigator	ISCO-08-ის კოდი:	3152
	სწავლის სფერო:	საზღვაოსნო მეცნიერებები	Nautical Sciences	ISCED-F-ის კოდი:	1041
	უმაღლესი განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Nautical Sciences	

დარგობრივი მახასიათებლის მიზანი

წიმანდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო აღიარებასა და დასაქმებას, კერძოდ: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი, პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული სპეციალისტის - გემის ნავიგატორის მომზადებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პროფესიისა და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეუძლია გემის ნავიგატორის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება (გემზე ნავიგაციის უზრუნველყოფა, ტვირთის განლაგება და დამუშავება, გემის ოპერაციების კონტროლი და გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა, რადიოკავშირის უზრუნველყოფა, გემის ტექნიკურ მომსახურების კონტროლი და მართვა, გემის შესაკეთებელი სამუშაოების კონტროლი), შესაბამისი მეთოდების გამოყენებით სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი, პრობლემის მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, გააჩნია პროფესიული განვითარების უნარი და სხვ. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას - გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე ეტაპობრივად საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემის ნავიგატორის მორიგი წოდების მოპოვებას და თანამდებობის დაკავებას გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწიდან დაწყებული გემის კაპიტნის ჩათვლით.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები

საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Marine Organization; შემდგომში - IMO). საქართველოში საზღვაო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის საქმიანობა რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით:

- International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010 („მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენცია 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით; შემდგომში - STCW კონვენცია);
- „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი (23.12.2011).

საქართველოში ამ ნორნების შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), რომელიც გემზე მუშაობის უფლების მიმნიჭებელ ორგანოს წარმოადგენს.

დარგის აღწერა

გემის ნავიგატორი ვალდებულია შეასრულოს მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა STCW კონვენციის A-II/1, A-II/2 და A-II/3 ნაწილების და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად (გემის ნავიგაციის უზრუნველყოფა, ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების და ტვირთის დამუშავების დაგეგმვა, შესრულება და მართვა, ნაოსნობის უსაფრთხოების და ზღვის გარემოს დაცვის უზრუნველყოფა, გემბანის ტექნიკურ მომსახურების კონტროლი და მართვა, სამაშველო და ცეცხლსაწინააღმდეგო მოწყობილობების ექსპლუატაცია, გემის შესაკეთებელი სამუშაოების შესრულების კონტროლი და სხვ.). გემის ნავიგატორის სამუშაო გარემო მაღალი რისკის მომცველია. გემის ნავიგატორი პროფესიული მოვალეობების ნაწილს ასრულებს ღია ცის ქვეშ, სამუშაოს ხანგრძლივობა და გრაფიკი მკვეთრად ცვალებადია და შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვე (სამუშაო და დასვენების საათები დგინდება STCW კონვენციისა და დარგის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად). გემის ნავიგატორს მუშაობა უხდება არაერთგვაროვან, ექსტრემალურ პირობებში სხვადასხვა ხასიათის საფრთხეებთან, იგი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ღონისძიებები გემის სიცოცხლის-უნარიანობის შენარჩუნებისა და ზღვაზე სამაშველო ოპერაციების შესრულებისათვის და სხვ., მისი პასუხისმგებლობის დონე არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ფუნქციური მოვალეობის შესრულებით.

დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

1. დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები:

STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გემის ნავიგატორის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე გემის ნავიგატორს შეუძლია ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის გემის ნავიგატორის მორიგი წოდება და დაიკავოს თანამდებობა გემის კაპიტნის

სავახტო თანაშემწიდან დაწყებული გემის კაპიტნის ჩათვლით. გემის ნავიგატორი შეიძლება დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, თევზსაჭერ, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის და სხვ. გემებზე დამხმარე, ექსპლუატაციისა (A-II/1, A-II/3) და მართვის (A-II/2) დონეებზე. ასევე, დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები.

2. სპეციალური მოთხოვნები:

2.1. სავალდებულოა შესაბამისი უმაღლესი საზღვაო განათლება (უმაღლესი განათლების საფეხური - ბაკალავრიატი); ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა (სავალდებულო სამედიცინო შემოწმება; იხ. პუნქტი 2.2.);

2.2. ჯანმრთელობის მდგომარეობა - სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია IMO-ს ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2) და ეროვნული სამართლებრივი აქტით - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“: მეზღვაური უფლებამოსილია გემზე განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს ზემოთ მითითებული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მეზღვაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება. მეზღვაურის სამედიცინო მოწმობა გაიცემა გაყალბებისაგან დამცავი ნიშნის მქონე ბლანკზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2.3. გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟი - „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს გემის ნავიგატორის თანამდებობებს დონეების მიხედვით. სავახტო თანაშემწე 500 ტონა და 500 ტონა და მეტი (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა: ა) 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, რომელიც წარმოადგენს აღიარებულ საწვრთნელი პროგრამის ნაწილს, შეესაბამება STCW კოდექსის A-II/1 ნაწილის მოთხოვნებს და დაფიქსირებულია მეზღვაურის წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკში ან ბ) არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი. სავახტო თანაშემწე 500 ტონაზე ნაკლები (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა: ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრული ადეკვატური ნაოსნობის სტაჟი ან ბ) საგემბანე განყოფილებაში მუშაობის არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი. კაპიტანი 500 ტონაზე ნაკლები (ექსპლუატაციის დონე) კომპეტენსიის სერტიფიკატის მისაღებას საწიროა: ა) სავახტო თანაშემწედ 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი. უფროსი თანაშემწის 500 ტონიდან 3000 ტონამდე (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახთო თანაშემწედ მუშაობის 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი. კაპიტნის 500 ტონიდან 3000 ტონამდე (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ მუშაობის 36 თვის დამტკიცებული სტაჟი ან ბ) 24 სავახტო თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 24 თვის დამტკიცებულია ნაოსნობის სტაჟი, თუ სტაჟიდან არანაკლებ 12 თვის განმავლობაში პირს ნამსახურები აქვს კაპიტნის უფროსი თანაშემწის რანგში. უფროსი თანაშემწეის 3000 ტონა და 3000 ტონაზე მეტი (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა: ა) სავახტო თანაშემწედ მუშაობის 16 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი. კაპიტნის 3000 ტონა და 3000 ტონაზე მეტი (მართვის დონე) კომპეტენციის სერტიფიკატისთვის საჭიროა უფროს თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 16 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.

II. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები

უმაღლესი განათლების საფეხური: **ბაკალავრიატი**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა

მოცულობა, ECTS	min 240 კრედიტი	**შესაძლო სტრუქტურა**	☑	ძირითადი სპეციალობა (საზღვაო ნავიგაცია)	min180 ECTS	მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.; • დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი პრაქტიკა/პრაქტიკები
				ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები		მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები
			☑	ძირითადი სპეციალობა (საზღვაო ნავიგაცია)	min180 ECTS	მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.; • დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი პრაქტიკა/პრაქტიკები
				დამატებითი სპეციალობა		მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები
				ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები		მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები

ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

3. დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები) - STCW კოდექსის A-II/1; A-II/2; A-II/3 ცხრილების შესაბამისად

დარგის ასპექტი,№	**კომპეტენცია**		**კომპეტენციის**	
	ცოდნა-გააზრება	**პრაქტიკული/შემეცნებითი უნარები**	**მიღწევის სპეციფიკური მეთოდები**	**დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები**
1. ნავიგაციის უზრუნველყოფა **1.1. კომპეტენციის სფერო:** რეისის დაგეგმვა და განხორციელება, ადგილმდებარეობის განსაზღვრა				
1	*საზღვაო ასტრონომია (250 სთ) -* გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით ციური სხეულების გამოყენების შესაძლებლობა.	შუძლია: მნათობთა ხილული სიმაღლეებისა და აზიმუტების გაზომვა, მნათობთა იდენტიფიცირება ასტრონავიგაციო ხელსაწყოების გამოყე-	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია)	სექსტანტის, პელენგატორის, ასტრონომიული ალმანახის და სხვა ასტრონავიგაციო ხელსაწყოებისა და ცხრილების გამოყენების დემონსტრირება.

		ნებით; განედის განსაზღვრა მზის მერიდიანული სიმაღლის ან/ და პოლარული ვარსკვლავის სიმაღლის გაზომვის საფუძველზე; კომპასის შესწორების განსაზღვრა მზის ჩასვლის და ამოსვლის მომენტში; ადგილმდებარეობის განსაზღვრა სენტილერის მეთოდის გამოყენებით, უნივერსალურ პლანშეტზე მდებარეობის ხაზების გავლების გზით.		
2	*ნაოსნობა სახმელეთო და სანაპირო ორიენტირების საშუალებით, სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში ელექტრონული სანავიგაციო სისტემების გამოყენებით (375 სთ) -* გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა: ○ სანაპირო ორიენტირებით, მათ შორის შესაბამისი რუქების, ზღვაოსანთა უწყებანის და სხვა პუბლიკაციების გამოყენებით დადგენილი ადგილმდებარეობის სიზუსტის შეფასების მიზნით; ○ სანავიგაციო საშუალებებით შუქურების, ნიშნების, ტივტივების ჩათვლით; ○ ქარების, ზღვის მიქცევის/მოქცევის, დინებებისა და სავარაუდო სიჩქარის გათვალისწინებით. ○ თანამედროვე ელექტრონული სანავიგაციო დამხმარე საშუალებების გამოყენებით შეზღუდვების, შეცდომების წყაროების, არასწორი ჩვენებების გამოვლენისა და კორექტირების მეთოდების გამოყენებით ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა; ○ სანავიგაციო რუქებისა და პუბლიკაციების, მათ შორის ნაოსნობასთან დაკავშირებული მითითებების, ზღვის მიქცევის/მოქცევის ცხრილების, ზღვაოსნების შეტყობინებების, რადიოსანავიგაციო გაფრთხილებების და გემების მარშრუტების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით.	შეუძლია: ორიენტირება სანავიგაციო რუკაზე მდებარეობის განედისა და გრძედის მიხედვით; გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა სანავიგაციო რუკაზე არსებული სიმბოლოების გამოყენებით; გემის კურსზე ქარის, დინების და სხვა ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების განსაზღვრა; ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ზღვის მიმოქცევითი პარამეტრების განსაზღვრა ცხრილების გამოყენებით; სანავიგაციო რუკებზე დატანილი ნაოსნობის შემაფერხებელი ფაქტორების აღმნიშვნელი სიმბოლოების გაგება და გამოყენება უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველსაყოფად; სანავიგაციო რუკებისა და პუბლიკაციების კორექტირების წესების გამოყენება ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა: - ნაპირზე განლაგებული ვიზუალური მეთოდებით; - რადიოლოკაციური მეთოდებით; - სატელიტური მეთოდებით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი / ლაბორატორია)	1. სანავიგაციო რუკებზე მუშაობის დემონსტრირება. ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა შესაბამისი წყაროებიდან და პუბლიკაციებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით; 2. ადგილმდებარეობის, კურსის, მანძილებისა და დროის სწორი გამოთვლა, სანავიგაციო მოწყობილობისთვის დადგენილი სიზუსტის სტანდარტების ფარგლებში; 3. ყველა პოტენციური სანავიგაციო საფრთხის ზუსტად განსაზღვრა. 4. გემის ადგილმდებარეობის ასტრონომიული მეთოდებით და სახმელეთო ორიენტირებით მიღებული ადგილმდებარეობის განსაზღვრება წარმოდგენილია სიზუსტის დასაშვები დონეების ფარგლებში.

3	*ავტოპილოტი (20 სთ) -* ავტოპილოტის სამუშაო რეჟიმი და სამართავი ელემენტები, საექსპლუატაციო და ტექნიკური პარამეტრები, მოქმედების პრინციპი	შეუძლია: ავტოპილოტის გამოყენება; ხელსაწყოს კომპლექტაციის და ფუნქციონალური სქემის გამოყენება; საერთაშორისო მყოთხოვნების გამოყენება ავტოპილოტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით; ხელით მართვიდან ავტომატურზე გადასვლა და პირიქით სავარაუდო მანევრირების აუცილებლობის შემთხვევაში მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი / სიმულატორი)	ავტოპილოტის სამუშაო რეჟიმის შერჩევა ნაოსნობის სხვადასხვა პირობებში.
4	*მეტეოროლოგია (75 სთ) -* გემების მეტეოროლიგიური ხელსაწყოებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენების და გაშიფვრის წესები. სხვადასხვა-გვარი ამინდის მახასიათებლები, შეტყობინებების გადაცემის პროცედურები და ჩამწერი სისტემების მახასიათებლები. ხელმისაწვდომი მეტეოროლოგიური სისტემის გამოყენების შესაძლებლობა.	შეუძლია: გემის ბარომეტრის, ანემომეტრის, ფაქსიმილური რუკების გამოყენება და ამინდის პროგნოზირება უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით; ამინდის გრძელვადიანი პროგნოზირება სატელიტური და სახმელეთო (სანავიგაციო ტელექსის) სისტემების გამოყენებით შტორმული ზონისგან დაშორიშორების მიზნით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი / სიმულატორი / ლაბორატორია)	1. მეტეოროლოგიური გაზომვები და დაკვირვებები ზუსტია და უზრუნველყოფს უსაფრთხო ნაოსნობას; 2. მეტეოროლოგიური ინფორმაცია სწორად არის ინტერპრეტირებული და გამოყენებული.
5	*რეისის დაგეგმვა და ნაოსნობა ნებისმიერ პირობებში საოკეანო მარშრუტების გავლების სათანადო მეთოდებით (125 სთ) -* შეზღუდულ წყლები. მეტეოროლოგიური პირობები. ყინულები. შეზღუდული ხილვადობა. მოძრაობის გამყოფი სისტემები. გემების მოძრაობის მომსახურების რაიონები. მძლავრი მიქცევა-მოქცევის რაიონები. მოძრაობა გემების გადაადგილების მარშრუტების განსაზღვრის შესახებ ზოგადი დებულებების შესაბამისად. შეტყობინებების/მოხსენების მიწოდება გემების ანგარიშგების შეტყობინებების სისტემების შესახებ ზოგადი დებულებებისა და გემების მოძრაობის მომსახურების (VTS) პროცედურების შესაბამისად.	შეუძლია: სანავიგაციო გადასვლის/ რეისის დაგეგმვა; სანაოსნო მარშრუტების დატანა ელექტრონულ და ქაღალდის რუკებზე; უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად; გემების მოძრაობის მომსახურების (VTS-ის) პროცედურების გამოყენება ვიწრობებში და შეზღუდული ნაოსნობის პირობებში	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სახელოსნოები / სასწავლო გემი)	1. შერჩეულ რუქებს გააჩნიათ ყველაზე დიდი მასშტაბი, რაც ხელსაყრელია ცურვის მოცემული რაიონისთვის, ხოლო რუქები და პუბლიკაციები ექვემდებარება კორექტირებას უახლესი ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად; 2. სანავიგაციო ხელსაწყოების მუშაობის შემოწმება და გამოცდა აკმაყოფილებს მწარმოებლის რეკომენდაციებსა და კარგ საზღვაო პრაქტიკას; 3. რეისისთვის აუცილებელი აღჭურვილობა, რუქები და სანავიგაციო პუბლიკაციები, დანომრილია და შეესაბამება რეისის უსაფრთხოდ შესრულებას; 4. მარშრუტის შერჩევის მიზეზს წარმოადგენს შესაბამისი წყაროებიდან და პუბლიკაციებიდან მიღებული ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები.

6	*გემის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ელექტრონული სანავიგაციო სისტემები (50 სთ) -* გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ელექტრონული სანავიგაციო საშუალებების გამოყენებით.	შეუძლია: გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრის დროს ელექტრონული რუკისადმი ნდობის ზონების კატეგორიების სიმბოლოების გამოყენება სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სასწავლო გემი)	1. ელექტრონული სანავიგაციო საშუალებების დახმარებით მიღებული ადგილმდებარეობა წარმოდგენილია გამოყენებული სისტემების სიზუსტის სტანდარტების ფარგლებში; 2. შესაძლო ცდომილებები, რომლებიც უარყოფითად აისახება ადგილმდებარეობის განსაზღვრის სიზუსტეზე, დადგენილია; 3. მიღებულ ადგილმდებარეობებზე სისტემის ცდომილებების გავლენის მინიმუმამდე შემცირების მეთოდები სათანადოდ არის გამოყენებული.
7	*მაგნიტური კომპასი და გიროკომპასი (40 სთ) -* მაგნიტური კომპასი და გიროკომპასი. ორიენტირებით მაგნიტური და გიროკომპასების ცდომილებების განსაზღვრა და აღნიშნული ცდომილებების გათვალისწინება.	შეუძლია: ხელსაწყოების მოქმედების პრინციპის და ძირითადი მდგომარეობის ფორმულების გამოიყენება ხელსაწყოების ფუნქციონირებისათვის; კომპასების პრინციპული შეზღუდვებისა და ცდომილებათა განსაზღვრა.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სასწავლო გემი)	1. მაგნიტური კომპასისა და გიროკომპასების და სხვა დამხმარე სანავიგაციო ხელსაწყოების გამოყენება და დემონსტრირება.
8	*ექოლოტები, ლაგი (40 სთ) -* ხელსაწყოების ექსპლუატაციისა და ინფორმაციის სწორად გამოყენების წესები. სიჩქარისა და განვლილი მანძილის განსაზღვრის ხელსაწყოები	შეუძლია ექოლოტისა და ლაგების გამოყენება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი)	სამართავი რეჟიმების დემონტრირება გემის მოძრაობისას, მეტეოროლოგიურ პირობებში მანევრირებისას.
1.2. კომპეტენციის სფერო: ავარიულ სიგნალებზე რეაგირება, ძებნა-გადარჩენის ოპერაციების კოორდინირება				
9	*საერთაშორისო საავიაციო და საზღვაო ძებნისა და გადარჩენის (IAMSAR) სახელმძღვანელო (20 სთ) -* საერთაშორისო საავიაციო და საზღვაო ძებნისა და შველის (IAMSAR) სახელმძღვანელოში გათვალისწინებული პროცედურები და მათი გამოყენების წესები.	ძებნისა და გადარჩენის ოპერაციების გეგმების და გადარჩენის ოპერციების მეთოდების გამოყენება; რადიოკავშირის უზრუნველყოფა.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი/ლაბორატორია)	1. ძებნის და გადარჩენის ოპერაციების კოორდინირების გეგმა შეესაბამება საერთაშორისო სახელმძღვანელოებს და სტანდარტებს. რადიოკავშირი დამყარებულია, სწორი საკომუნიკაციო პროცედურები სრულდება ძებნის და გადარჩენისეპრაციების ყოველ ეტაპზე; 2. ძებნისა და გადარჩენის ოპერაციების კოორდინირების გეგმა შეესაბამება საერთაშორისო სახელმძღვანელოებსა და სტანდარტებს. რადიოკავშირი დამყარებულია და სწორი საკომუნიკაციო პროცედურები სრულდება ძებნისა და გადარჩენის ოეპრაციების ყოველ ეტაპზე.

	1.3. კომპეტენციის სფერო: უსაფრთხო ნავიგაციისა და მის პროცედურების უზრუნველყოფა და ორგანიზება			
10	*ვახტის გაწევა (125 სთ) -* ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წლის საერთაშორისო წესებისა და შესაბამისი ცვლილებების შინაარსი, გამოყენება და მიზნები. სანავიგაციო ვახტის გაწევის ძირითადი პრინციპები. გადაადგილების მარშრუტების გამოყენება გემების მარშრუტების შედგენის შესახებ ზოგადი დებულებების შესაბამისად. სანავიგაციო აღჭურვილობიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება უსაფრთხო სანავიგაციო ვახტის გაწევის მიზნით. შეზღუდული ხილვადობის პირობებში გემის მართვის ტექნიკა. შეტყობინებების გადაცემის სისტემის გამოყენება გემების შეტყობინების სისტემების ზოგადი პრინციპებისა და VTS პროცედურების გამოყენებით.	შეუძლია ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წლის (COLREG) კონვენციის წესების გამოყენება; ვახტის წარმოების დროს გემის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემით მიღებული პარამეტრების ეფექტური გამოყენება ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი)	1. ვახტის გაწევა, გადაცემა და შეცვლა შეესაბამება მიღებულ პრინციპებსა და პროცედურებს; 2. მუდმივად სრულდება სათანადო დაკვირვება მიღებული პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად; 3. განათებები, ნიშნები და ხმოვანი სიგნალები შეესაბამება ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წ. საერთაშორისო წესების და შესაბამისი ცვლილებების მოთხოვნებს; 4. გემების მოძრაობის, გემებისა და გარემოს მეთვალყურეობის სიხშირე და მოცულობა შეესაბამება მიღებულ პრინციპებსა და პროცედურებს; 5. გემების გადაადგილებასთან დაკავშირებული მოძრაობა და ქმედებები სათანადოდ აღირიცხება; 6. უსაფრთხო ნაოსნობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ყოველთვის გარკვევით განისაზღვრება იმ პერიოდების ჩათვლით, როდესაც კაპიტანი იმყოფება ხიდურაზე და ხორციელდება სალოცმანო გაცილება.
11	*რესურსების მართვა ხიდურაზე (125 სთ) -* ხიდურაზე რესურსების მართვის პრინციპები, რესურსების განაწილება, ვალდებულებების მინიჭება და პრიორიტეტებად დაყოფა, ეფექტური კავშირის/ურთიერთობის დამყარება, ლიდერობა, სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მიღება, გუნდის გამოცდილების გათვალისწინება.	შეუძლია გუნდური მუშაობის პრინციპების ეფექტური გამოყენება უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი)	1. რესურსები განაწილებულია და მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილებანი სათანადო პრიორიტეტულობის წესის დაცვით აუცილებელი დავალებების სისრულეში მოყვანის მიზნით; 2. ინფორმაცია გარკვევით და ცხადად არის გადაცემული და მიღებული; 3. საეჭვო გადაწყვეტილებები და/ან ქმედებები უზრუნველყოფს შესაბამის გამოწვევასა და რეაქციას; 4. განისაზღვრა ეფექტური ლიდერობის ქცევები; 5. ვახტის გაწევის ორგანიზება და პროცედურები განისაზღვრება და ხორციელდება საერთაშორისო წესე-

				ბისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას ცურვის უსაფრთხოება, საზღვაო გარემოს დაცვა და გემისა და გემზე მყოფი პირების უსაფრთხოება.
1.4. კომპეტენციის სფერო: უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა რადარის, ARPA სისტემების და სანავიგაციო მოწყობილობებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით				
12	*ნაოსნობა რადიოლოკატორების გამოყენებით (65 სთ) -* რადარებისა და ავტომატური რადიოსალოკაციო სისტემა (ARPA). რადიოლოკატორის გამოყენების, მიღებული ინფორმაციის დაშიფვრისა და ანალიზის შესაძლებლობა, მათ შორის: ○ ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად აისახება მუშაობასა და სიზუსტეზე; ○ ინდიკატორების პარამეტრების შექმნა და მათი მუშაობის უზრუნველყოფა; არასწორი ინფორმაციის, ცრუ ექოსიგნალების, ზღვიდან დაბრუნებისა და ა.შ. რადიოშუქურებისა და SART გამოვლენის წესები, მათ შორის: ○ მანძილი და პელენგი; სხვა გემების კურსი და სიჩქარე; გადამკვეთ, შემხვედრ ან გამსწრებ გემებთან მიახლოების დრო და მანძილი; ○ კრიტიკული ექოსიგნალების ამოცნობა; სხვა გემების კურსისა და სიჩქარის ცვლილებების განსაზღვრა; საკუთარი გემის კურსსა და/ან სიჩქარეზე ცვლილების ეფექტები; ○ ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წლის საერთაშორისო წესებისა და შესაბამისი ცვლილებების გამოყენება; ○ რადიოლოკაციური გავლების ტექნიკა და შესაბამისი და ნამდვილი მოძრაობის კონცეფცია; ○ პარალელური ინდექსაცია. ARPA-ს ძირითადი ტიპები, მათი გამოსახვის მახასიათებლები, საექსპლუატა-	შეუძლია: რადარების და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების (ARPA) საშუალებით შემხვდერი გემების პარამეტრების ეფექტური გამოყენება უსაფრთხო მანევრირების მიზნით; რადარის სისტემატური ტესტირება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით; რადიოლოკაციური გამოსახულების სწორი კითხვა ცრუ ექოსიგნალების თავიდან აცილების მიზნით; პირველადი რადიოლოკაციური ინფორმაციის დამუშავება, ობიექტებისა და სამიზნეების აღმოჩენა და ამოცნობა; ნავიგაციური გადასვლის დროს რადარის მექანიკური ვეზირის ან პარალელური ინდექსაციის გამოყენება ადგილმდებარეობის სიზუსტის შეფასების მიზნით; ფარდობითი და ჭეშმარიტი მოძრაობის რეჟიმების გამოყენება მანევრების იმიტაციისა და სიზუსტის შეფასების მიზნით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი)	1. უზრუნველყოფს რადარის შესახებ ინფორმაციის მონიტორინგს იმ სახით, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო ნავიგაციას; 2. რადარიდან მიღებული ინფორმაცია (რადიოლოკატორის განთავსების და/ან რადიოლოკატორების თვალყურის დევნების ფუნქციების ჩათვლით, მათი დაყენების შემთხვევაში) სწორად არის გაშიფრული და გაანალიზებული აღჭურვილობის, ყველა ჩართული სენსორის (რადიოლოკატორისა და AIS-ის ჩათვლით, მათი მიერთების შემთხვევაში) შეზღუდვისა და არსებული გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით; 3. ნავიგაციის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია გემის კურსსა და სიჩქარესთან დაკავშირებით რადარის მიერ; 4. საექსპლუატაციო პროცედურები რადარის გამოყენებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია, სრულდება და ექვემდებარება დაკვირვებას; 5. ნაოსნობის უსაფრთხოების წინაშე არსებული რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით მიღებულია შესაბამისი ღონისძიებები.

	ციო სტანდარტები და საფრთხე ARPA-ს ზედმეტად ნდობის შემთხვევაში. ARPA-ს გამოყენების და ARPA-დან მიღებული ინ-ფორმაციის დაშიფვრისა და ანალიზის შე-საძლებლობა, მათ შორის: ○ სისტემების მუშაობა და სიზუსტე, თვა-ლყურის დევნისა და შეზღუდვის შესაძ-ლებლობა, მონაცემების დამუშავებას-თან დაკავშირებული შეფერხებები; ○ საექსპლუატაციო გაფრთხილებების გა-მოყენება და სისტემების შემოწმება; ○ მიზნის მიღწევის მეთოდები და მათი შეზღუდვები; ○ ნამდვილი და ფარდობითი ვექტორები, მიზნებისა და სახიფათო რაიონების შე-სახებ ინფორმაციის გრაფიკული გამო-სახვა; ○ ინფორმაციის, კრიტიკული ექოსიგნა-ლების, აკრძალული რაიონებისა და იმიტირებული მანევრების მიღება და ანალიზი. სისტემის ცდომილებება და სანავიგაციო სისტემების საოპერაციო ასპექტები. შეზ-ღუდული ხილვადობის პირობებში გემის მართვის ტექნიკა. ყოველგვარი წყაროდან, მათ შორის რადიოლოკატორებიდან და ARPA-დან მიღებული სანავიგაციო ინ-ფორმაციის შეფასება, გემების შეჯახების თავიდან აცილებასთან და გემის უსაფრ-თხოდ ნაოსნობის მართვასთან დაკავში-რებით გადაწყვეტილებების მიღებისა და ბრძანებების შესრულების მიზნით. ყო-ველგვარი სანავიგაციო ხელსაწყოების ურთიერთკავშირი და მონაცემის ოპტიმა-ლური გამოყენება ნაოსნობის მიზნით.			
	1.5. კომპეტენციის სფერო: ECDIS ნავიგაციის გამოყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით			
13	*ნაოსნობა ECDIS-ის გამოყენებით (65 სთ)* - ECDIS სამუშაოების შესაძლებლობები და შეზღუდვა, მათ შორის: ○ ელექტრონული სანავიგაციო რუქების (ENC) მონაცემები, მონაცემთა სიზუსტე,	შუძლია: ECDIS-ს სტანდარტების გა-მოყენება, ოფიციალური ელექტრო-ნული რუკების განსაზღვრა; სტან-დარტულ ფორმატში მოცემული ENC რუკების მონაცემთა სიზუსტის	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები • (სიმულატორი / სასწავ-ლო გემი)	ECDIS-ის შესახებ ინფორმაციის მონი-ტორინგს იმ სახით, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო ნავიგაციას. ECDIS-ით მი-ღებული ინფორმაციის მიღება და ეფექტურად დამუშავება.

	წარდგენის წესები, გამოსახვის ვარიანტები და რუქების მონაცემების სხვა ფორმატები; ○ გადაჭარბებული ნდობით გამოწვეული საფრთხე; ○ მოქმედი საექსპლუატაციო სტანდარტების დადგენილი ECDIS-ის ფუნქციები. ECDIS-ის ექსპლუატაციის, მიღებული ინფორმაციის დაშიფვრისა და გაანალიზების შესაძლებლობა, მათ შორის: ○ სხვადასხვა მოწყობილობის მიმართ სხვა სანავიგაციო სისტემებში ინტეგრირებული ფუნქციების გამოყენება, სათანადო ფუნქციონირების და სასურველი პარამეტრების რეგულირების ჩათვლით ○ ინფორმაციის უსაფრთხო მონიტორინგი და კორექტირება, საკუთარი გემის პოზიციის, საზღვაო რაიონის გამოსახვის, რეჟიმისა და ორიენტაციის, კარტოგრაფიული მონაცემების გამოსახვის, მარშრუტის მონიტორინგის, მომხმარებლების მიერ შექმნილი ინფორმაციის ასახვის, კონტაქტების (იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ურთიერთქმედებას AIS-თან და/ან რადიოლოკატორების თვალყურის დევნებასთან) და რადიოლოკატორების განთავსების ფუნქციების (ურთიერთქმედების შემთხვევაში) ჩათვლით; ○ გემების ადგილმდებარეობის დადასტურება ალტერნატიული საშუალებებით; ○ პარამეტრების ეფექტური გამოყენება საექსპლუატაციო პროცედურების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ავარიული სიგნალიზაციის პარამეტრების ჩათვლით მეჩეჩზე დაჯდომის გაფრთხილების მიზნით, სანავიგაციო საფრთხისა და სპეციალურ რაიონებთან მიახლოებისას, კარტოგრაფიული მონაცემების სისრულე და რუქების განახ-	შემოწმება ზუსტი მონაცემთა განსაზღვრის მიზნით; ENC ფორმატის მონაცემების შემოწმება, რომელიც მოიცავს ENC პროდუქტის სპეციფიკაციას, რომელითაც განისაზღვრება ENC შინაარსი; ECDIS-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მონიტორინგის პარამეტრების განსაზღვრა, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ წინასწარი გააფრთხილება მოსალოდნელი ხიფათის შესახებ; უსაფრთხო სიღრმის კონტურების და უსაფრთხოების სიღრმის ელექტრონულ რუკაში შეყვანა, გემის არსებული პარამეტრების და მოთხოვნების მიხედვით; ECDIS-ის საშუალებით დაბალი წყლის კონტურების ფიქსირება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; უსაფრთხოების ჩარჩოს შექმნა და მონიტორინგი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.		

	ლებული მდგომარეობა, ასევე რეზერვირების ღონისძიებები; ○ პარამეტრებისა და მნიშვნელობების რეგულირება არსებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; ○ ინფორმაციის ფლობა სიტუაციის შესახებ, ECDIS-ის გამოყენებისას, უსაფრთხო წყლებისა და უძრავ და მოდრეიფე საფრთხეებთან მიახლოების, კარტოგრაფიული მონაცემებისა და მასშტაბის შერჩევის, მარშრუტის ხელსაყრელობის, ობიექტების გამოვლენისა და მართვის, ასევე გადამცემების ინტეგრირების ჩათვლით.			
	1.6. კომპეტენციის სფერო: ამინდისა და ოკეანოგრაფიული პირობების პროგნოზირება			
14	*სინოპტიკური რუქები, ნაოსნობის რეგიონში ამინდის პროგნოზირება, ადგილობრივი მეტეოროლოგიური პირობების და ფაქსიმილური კავშირის საშუალებით ინფორმაციის მიღება (50 სთ) -* ამინდის სხვადასხვა სისტემის მახასიათებლების, მათ შორის ტროპიკული ციკლონების, ცოდნა და მათი ცენტრისა და სახიფათო კვადრატებისთვის თავის არიდება. ოკეანური დინებები. მიქცევის პირობების გამოთვლა. მიქცევებისა და დინებების შესახებ ყოველგვარი სათანადო სანავიგაციო პუბლიკაციების გამოყენება.	შეუძლია: სინოპტიკური რუკების კითხვა, ამინდის პროგნოზის მიღება და მისი ანალიზი; ტროპიკული ციკლონებისა და შტორმების იდენტიფიცირება და მათთან დაშორების მანევრირების გათვლების ანგარიში. მიმოქცევითი მოვლენების პარამეტრების განსაზღვრა საზღვაო პუბლიკაციების და ციფრული ინფორმაციული მონაცეების საშუალებით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი)	1. სავარაუდო ამინდის პროგნოზი განსაზღვრული პერიოდისთვის ეფუძნება ყოველგვარ ხელმისაწვდომ ინფორმაციას; 2. ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული ღონისძიებები მინიმუმამდე ამცირებს გემის უსაფრთხოების რისკს; 3. სავარაუდო ღონისძიების მიღების მიზეზები დაფუძნებულია სტატისტიკურ მონაცემებსა და არსებულ მეტეოროლოგიურ პირობებზე დაკვირვებაზე.
	1.7. კომპეტენციის სფერო: ნაოსნობის დროს წარმოშობილ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება და შესაბამისი ქმედება			
15	*ავარიულ სიტუაციებში განსახორციელებელი პროცედურები (125 სთ) -* უსაფრთხოების ზომები ავარიულ სიტუაციებში მგზავრთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. პირველადი ზომები შეჯახების ან მეჩეჩზე დაჯდომის შემთხვევაში, დაზიანების თავდაპირველი შეფასება და კონტროლი. ზღვაზე ადამიანების გადარჩენისას, ავარიულ სიტუაციაში მყოფი გემისთვის დახმარების აღმოჩენისას, ნავსადგურში გამოვლენილი ავარიებისას განსახორციე-	შეუძლია: ავარიული სიტუაციის ტიპისა და მასშტაბის განსაზღვრა და შეფასება; ავარიული სიტუაციის აღმოფხვრის მეთოდების განსაზღვრა და სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვა; ავარიულ სიტუაციებთან ბრძოლის მეთოდების კლასიფიკაცია, ადეკვატური ზომების გატარება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სასწავლო გემი)	1. ავარიის ტიპი და მასშტაბი დაუყოვნებლივ განისაზღვრება; 2. თავდაპირველი ზომები და, შესაბამისობის შემთხვევაში, გემის მანევრირება შეესაბამება მოქმედების გეგმას გადაუდებელ სიტუაციებში, ასევე სიტუაციის გადაუდებლობას და ავარიის ხასიათს; 3. ნებისმიერი პრობლემის ტიპი და მასშტაბი დაუყოვნებლივ განისაზღვრება, გადაწყვეტილებები და ზომები მინიმუმამდე ამცირებს გემების სის-

	ლებელი პროცედურების სათანადოდ გაზრება. სიფრთხილის ზომების დაცვა გემის მეჩეჩზე დაჯდომისას. ზომები, რომლებიც უნდა იქნა მიღებული იმ შემთხვევაში, თუ მეჩეჩზე შეჯდომა იქნება გარდაუვალი, ასევე მეჩეჩზე შეჯდომის შემდგომ. მეჩეჩზე დამჯდარი გემის მოხსნა სათანადო დახმარებით ან დახმარების გარეშე. მოქმედებები, რომლებიც მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შეჯახება იქნება გარდაუვალი, ასევე ნებისმიერი მიზეზით შეჯახების ან კორპუსის წყალგაუმტარობის დაზიანების შემდგომ. ზიანის მართვის შეფასება. ავარიული მართვა საჭით. ავარიული ბუქსირების მოწყობილობა, ბუქსირების პროცედურები.			ტემის ნებისმიერ გაუმართაობას; 4. კავშირი ხორციელდება ეფექტურად და შეესაბამება დადგენილ პროცედურებს; 5. გადაწყვეტილებები და ღონისძიებები მაქსიმალურად ზრდის გემზე მყოფი პირების უსაფრთხოებას.
1.8. კომპეტენციის სფერო: გემის მანევრირება და მართვა ნებისმიერ პირობებში				
16	*გემების მანევრირება და მართვა (375 სთ)* - წყალწყვის, წყალშიგი, დიფერენტის, კილის ქვეშ წყლის სიჩქარისა და მარაგის ზემოქმედება ცირკულაციის დიამეტრსა და სამუხრუჭე მანძილზე. ქარისა და დინების გავლენა გემის მართვაზე. მანევრები და გემბანს მიღმა ადამიანის გადარჩენის პროცედურები. წყალმარჩხის და ა.შ. გავლენა. ღუზის ჩაშვებისა და გემის დაბმა-დამაგრების სათანადო პროცედურები. გემების მანევრირება და მართვა ნებისმიერ პირობებში, მათ შორის: ○ მანევრირება ლოცმანების სადგურთან მიახლოებისას ან ლოცმანების ჩასვლა-ამოსვლისას, ამინდის, მოქცევის, ინერციით მოძრაობის და დასამუხრუჭებელი მანძილის გათვალისწინებით; ○ გემების მართვა მდინარეებში, სრუტეებში და შეუზღუდულ წყლებში ნაოსნობისას, დინების, ქარისა და შეზღუდული წყლების მართვაზე ზემოქმედების გათვალისწინებით; ○ მუდმივი კუთხური სიჩქარით შემობ-	შეუძლია: გემის სამანევრო მახასიათებლების და მათი პარამეტრების ეფექტური გამოყენება; გემის მანევრირება ლოცმანის რჩევების გათვალისწინებით; COLREG-ის წესების პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა პირობებში გემით მანევრირების შესრულების დროს, ბუქსირებთან ურთიერთქმედება, ღუზაზე დადგომისა და მოხსნის პროცედურები.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავლო გემი/	1. გემის ამძრავი მექანიზმის, საჭით მართვისა და ენერგოსისტემების უსაფრთხო ოპერირების საზღვრები არ ირღვევა ნორმალური მანევრირების დროს; 2. გემის კურსისა და სიჩქარის ცვლილება უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოებას; 3. გემის მიბმა-დამაგრებასა და ღუზის ჩაშვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ეფუძნება გემის მანევრირებისა და მისი ძრავას მახასიათებლების, ასევე იმ ძალების სათანადო შეფასებას, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, იმოქმედებს ნავსადგომზე დგომის ან ღუზის ჩაშვების დროს; 4. გემის გადაადგილების დროს წარმოებს წყალმარჩხი და შეზღუდული წყლების, ყინულის, ნაპირების, მიქცევის/მოქცევის პირობების, გამვლელი გემების და საკუთარი გემების გამყოლი ტალღების შესაძლო ზემოქმედების შეფასება, რათა გემმა შეძლოს უსა-

	რუნების ტექნიკის გამოყენება; ○ მანევრირება წყალმარჩხი, კილის ქვეშ წყლის მარაგის დადგომის, გემბანისა და კილის რწევით გამოწვეული შემცირების ჩათვლით; ○ ურთიერთქმედება გამვლელ გემებთან, ასევე საკუთარ გემებს შორის და უახლოეს ნაპირთან (არხის ეფექტი); ○ გემის დაყენება და გადაყენება ქარის, მიქცევისა და დინების სხვადასხვა პირობებში, ბუქსირის გამოყენებით ან მის გარეშე; ○ გემისა და ბუქსირის ურთიერთქმედება; ○ ამძრავი დანადგარისა და მანევრირების სისტემების გამოყენება; ○ ღუზაზე დადგომის არჩევა; ერთ ან ორ ღუზაზე დადგომა ღუზების ○ შეზღუდულ სადგომზე და ღუზის ჯაჭვის აუცილებელი სიგრძის განმსაზღვრელი ფაქტორები; ○ ღუზის ამოღება; დაბინძურებული ღუზის გაწმენდა; ○ დაზიანებული და დაუზიანებელი გემის მშრალ ნავმისადგომზე დაყენება; ○ გემების მართვა და ექსპლუატაცია მძიმე კლიმატურ პირობებში, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი გემისთვის ან საფრენი ხომალდისთვის დახმარების გაწევის ჩათვლით; ბუქსირება; უსაფრთხო მდგომარეობაში უმართავი გემის შენარჩუნება, დრეიფების რაოდენობის შემცირება და ნავთობის გამოყენება; ○ სიფრთხილის ზომების მიღება მანევრირებისას სამაშველო კატარღებისა ან კოლექტიური სამაშველო საშუალებების გაშვების მიზნით ცუდ კლიმატურ პირობებში; ○ გემბანზე გადარჩენილი ადამიანების აყვანა სამაშველო კატარღებიდან და კოლექტიური სამაშველო საშუალებებიდან;			ფრთხო მანევრირება სხვადასხვა დატვირთვის ქვეშ და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში.

	○ ჩვეულებრივი ტიპის გემების მანევრირებისა და ამძრავი მექანიზმის მახასიათებლების განსაზღვრის შესაძლებლობა, დამუხრუჭების მანძილსა და სხვადასხვა წყალშიგი და სიჩქარეზე ცირკულირების წრეებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახილებით; ○ ნაოსნობის მნიშვნელობა, სიჩქარის შემცირებით, საკუთარი გემისთვის შემხვედრი ტალღით ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით; ○ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიიღება ყინულში ან ყინულის მახლობლად ნაოსნობისას ან გემის გაყინვის პირობებში; ○ მოძრაობის გამყოფი სისტემების და გემების მოძრაობის მართვის სისტემების გამოყენება და მანევრირება მათში ან მათ მახლობლად ნაოსნობისას.			
1.9. კომპეტენციის სფერო: ინფირმაციის მიღება და გადაცემა ვიზუალური და რადიო საკომუნიკაციო სიგნალების საშუალებით				
17	*ვიზუალური და რადიოსაკომუნიკაციო სიგნალები (125 სთ) -* სიგნალების საერთაშორისო კოდექსი. ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების შესახებ 1972 წლის საერთაშორისო წესებისა და შესაბამისი ცვლილებების IV დანართის და სიგნალების საერთაშორისო კოდექსის პირველი დანართის თანახმად, ავარიული შუქური სიგნალის SOS მორზეს ანბანის დახმარებით გადაცემისა და მიღების, ასევე სიგნალების საერთაშორისო კოდექსის ვიზუალური, ერთასოიანი სიგნალების გადაცემისა და მიღების წესები. დაბალსიხშირული და თანამგზავრული რადიონავიგაციური სისტემების, გლობალური საზღვაო კავშირის სისტემა GMDSS-ის, საერთაშორისო რადიოკავშირის რეგლამენტით გამოყოფილი სიხშირეთა დიაპაზონის, რადიოტალღების გავრცელების თავისებურებები, რადიოტა-	შეუძლია: COLREG-ის მე-4 დანართისა და სიგნალების საერთაშორისო კოდექსის პირველი დანართის თანახმად, ავარიული შუქური სიგნალის SOS მორზეს ანბანის დახმარებით გადაცემა და მიღება; ვიზუალური, ერთასოიანი სიგნალების გადაცემა და მიღება; უბედურების შემთხვევაში გლობალური საზღვაო კავშირის სისტემის GMDSS აპარატურის ცოდნა და გამოყენება; საზღვაო კავშირის თანამგზავრული სისტემის გამოყენება; GMDSS-ის ძირითადი და საავარიო ელექტრონული კვების წყაროების მომსახურება და მონიტორინგი; სისტემა COSPAS-SARSAT, ავარიული რადიო ტივტივების EPIRB-ის სისტემა NAVTEX-ის ბგერითი და ციფრული სიგნალების გადაცემა და მიღება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი/ლაბორატორია/სასწავლო გემი)	1. კავშირი ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებში ყოველთვის წარმატებით სრულდება; 2. რადიო საკომუნიკაციო და ნავიგაციური სისტემიდან მიღებული ინფორმაცია სწორად არის გაშიფრული და გაანალიზებული, აღჭურვილობის შეზღუდვების, და არსებული გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით; 3. კავშირი არის გარკვეული და ზუსტი.

	ლღების გამოსხივების კლასები, გამოყენებული საზღვაო რადიოკავშირის GMDSS სისტემის საზღვაო რაიონები. რადიო მოწყობილობების მინიმალური შემადგენლობა სისტემა GMDSS-ში საზღვაო რაიონების მიხედვით და მათი დახასიათება, ინდივიდუალური და უბედურების შესახებ შეტყობინება, დადასტურება, გამოძახება, რეტრანსლირება. გემების გამოძახება (Distress, Urgency, Safety), ჯგუფური გამოძახება (Urgency, Safety, Routine), ინდივიდუალური გამოძახება (Urgency, Safety, Routine), უბედურებაში მყოფი საფრენი აპარატებისა და გემების ძებნა-გადარჩენის საერთაშორისო სისტემა - COSPAS-SARSAT, ავარიული რადიო ტივტივებისა და მათი ტიპები - EPIRB, ELT და PLB, სისტემის NAVTEX - ბგერითი და ციფრული სიგნალების გადაცემა და მიღება.			
	1.10. კომპეტენციის სფერო: ინგლისურ ენაზე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტული საზღვაო სასაუბრო ფრაზების გამოყენება წერილობითი და ზეპირი ფორმით			
18	*ინგლისური ენა (875 სთ) -* ინგლისური ენა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტული საზღვაო საკომუნიკაციო ფრაზები (IMO SMCP).	შეუძლია: ინგლისურენოვანი რუქებისა და სხვა სანავიგაციო პუბლიკაციების გამოყენება; გემის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით მეტეოროლოგიური ინფორმაციის და შეტყობინებების გაგება; სხვა გემებთან, სანაპირო სადგურებსა და VTS ცენტრებთან კავშირის დამყარება; მოვალეობების შესრულებისას წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტული საზღვაო საკომუნიკაციო ფრაზების (IMO SMCP) გამოყენებით.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი)	1. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი სანავიგაციო პუბლიკაციები და შეტყობინებები გემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სწორად არის გაგებული ან შედგენილი; 2. კომუნიკაცია არის გარკვეული და გასაგები.
	1.11. კომპეტენციის სფერო: ამძრავი დანადგარისა და სამანქანე განყოფილების სისტემებისა და მომსახურებების დისტანციური მართვის სისტემებს ექსპლუატაცია			
19	*ამძრავი დანადგარისა და სამანქანე განყოფილების სისტემები (120 სთ) -*	შეუძლია გემის ენერგეტიკული დანადგერების და მოწყობილობების	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები	ძალოვანი დანადგარი, დამხმარე მექანიზმები და აღჭურვილობა იმყოფება

	საზღვაო-ძალოვანი დანადგარების მუშაობის პრინციპები. გემების დამხმარე მექანიზმები და მათი მუშაობის პრინციპები. ტექნიკური საზღვაო ტერმინები.	მუშაობის პრინციპებისა და ექსპლუატაციის ნორმების ცოდნა.	(ლაბორატორია)	მუდმივი ექსპლუატაციის ქვეშ ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად და უსაფრთხო ოპერირების ფარგლებში.
2. ტვირთის დამუშავება და განთავსება **2.1. კომპეტენციის სფერო:** ტვირთის უსაფრთხოდ დატვირთვის დაგეგმა, უზრუნველყოფა, მონიტორინგი, გემის სათავსებში განთავსების, დამაგრებისა და სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვა რეისის განმავლობაში და გადმოტვირთვის დროს				
20	*ტვირთის დამუშავება, განთავსება და დამაგრება (75 სთ) -* ტვირთის, მათ შორის მძიმეწონიანი ტვირთის ზემოქმედება გემის ზღვაოსნობისთვის ვარგისიანობას და მდგარობაზე. ტვირთების, მათ შორის სახიფათო და მავნე ტვირთების, უსაფრთხო განთავსებისა და დამაგრების წესები, ადამიანის სიცოცხლესა და გემების უსაფრთხოებაზე მათი ზემოქმედება. ტვირთვის დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ეფექტური კავშირის დამყარება და შენარჩუნება. ტვირთის უსაფრთხო დამუშავებასთან, განთავსებასთან, დამაგრებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით შესაბამისი საერთაშორისო წესები, კოდექსები და სტანდარტები. მდგრადობისა და დიფერენტის დიაგრამების და კორპუსზე დატვირთვის გამოსათვლელი მოწყობილობის გამოყენება, მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული ავტომატური მოწყობილობის ჩათვლით. ტვირთის დატვირთვა და დაბალასტებ, კორპუსზე დატვირთვა დასაშვებ ფარგლებში. გემებზე ტვირთის სათავსებში (ტრიუმებში) განთავსება და დამაგრება, ტვირთის დამამუშავებელი დანადგარების და სათანადოდ გასამაგრებელი აღჭურვილობის ჩათვლით. ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები, ტვირთის ტრანსპორტირება, კოდექსი ტვირთის სათავსებში განთავსების და დამაგრების უსაფრთხო პრაქტიკის შესახებ.	შეუძლია: გემების კლასიფიცირება ზომების, კონსტრუქციული თავისებურებების და გადასატანი ტვირთების მიხედვით (ბალკერი, ტანკერი, კონტეინერმზიდი, RO-RO და ა.შ.); ტვირთის სახეობათა კლასიფიკაცია; ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ტექნოლოგია, საერთაშორისო და ნაციონალური ნორმების გათვალისწინებით; სატვირთო გეგმის(Cargo Plan) შედგენა სატვირთო პროგრამის გამოყენებით; ტვირთის რაოდენობის გამოთვლა; გემის მდგრადობასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნა; გემის და ტერმინალის პერსონალს შორის კომუნიკაციის დამყარება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სასწავლო გემი)	1. სატვირთო ოპერაციები ხორციელდება დატვირთვის გეგმის ან სხვა დოკუმენტებისა და დადგენილი წესების / ნორმების, მოწყობილობების საექსპლუატაციო ინსტრუქციების და გემზე ტვირთის სათავსოებში(ტრიუმებში) განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესაბამისად; 2. სახიფათო, საშიში და მავნე ტვირთის დამუშავება აკმაყოფილებს საერთაშორისო წესებსა და აღიარებულ სტანდარტებს, ასევე უსაფრთხო პრაქტიკის კოდექსს; 3. კავშირი არის გარკვეული, ადვილად გასაგები და ხორციელდება წარმატებით. 4. განხორციელებული დაუშვებელი ან გაუთვალისწინებელი ცვლილებები სწრაფად განისაზღვრება და დაუყოვნებლივ მიიღება საკორექციო ღონისძიებები გემისა და ბორტზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოების დაცვის მიზნით; 5. სატვირთო ოპერაციები დაგეგმილია და ხორციელდება დადგენილი პროცედურების და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად; 6. ტვირთის საწყობში განთავსება და დამაგრება უზრუნველყოფს, რომ მდგარობა და კორპუსზე დატვირთვა მუდმივად წარმოდგენილი იყოს უსაფრთხო ფარგლებში სრული რეისის განმავლობაში.

	ტანკერებისა და ტანკერების ოპერაციები. დაუფასოებელი ტვირთის გადამზიდავებთან დაკავშირებით მოქმედი საოპერაციო და კონსტრუქციული შეზღუდვები. ტვირთის დატვირთვასთან, დამუშავებასა და გადმოტვირთვასთან დაკავშირებით გემზე არსებული მონაცემებით სარგებლობის წესები. შესაბამის დოკუმენტებში, როგორიცაა IMDG კოდექსი, IMSBC კოდექსი, MARPOL 73/78-ის III და V დანართებით გათვალისწინებული დებულებების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის თანახმად ტვირთის უსაფრთხო დამუშავების პროცედურების განსაზღვრა. გემის და ტერმინალის პერსონალს შორის კომუნიკაციის დამყარების და საქმიანი ურთიერთობის საბაზისო პრინციპები.			
2.2. კომპეტენციის სფერო: სატვირთო განყოფილებაში, ლუქის სახურავსა და ბალასტის ცისტერნებში არსებული ხარვეზებისა და დაზიანების შემოწმება და ანგარიშგება				
21	*ზიანისა და ხარვეზის გამოვლენა, მათი გამომწვევი მიზეზები დადგენა (25 სთ) -* დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები. კოროზია. არახელსაყრელი კლიმატური პირობები. შემოწმების პროცედურები. თითოეული შემოწმებისთვის გემის შესამოწმებელი ნაწილების დადგენა, რათა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შემოწმებამ მოიცვას გემის ყველა ნაწილი. გემის კონსტრუქციის იმ ელემენტების განსაზღვრა, რომელთაც გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა გემის უსაფრთხოებისთვის. სატვირთო განყოფილებებში და ბალასტის ცისტერნებში კოროზიის მიზეზებისა და კოროზიის გამოვლენისა და პრევენციის შესაძლებლობის განსაზღვრა. სტანდარტული დაუფასოებელი ტვირთის გადამზიდავი გემის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაწილების დაძაბულო-	შეუძლია: სატვირთო სათავსოების სახურავებთან უსაფრთხო მუშაობის ტექნიკა; სახურავების წყლის გამტარობაზე შემოწმების მეთოდების განმარტება; ტვირთის გადაზიდვის დროს ხარვეზების და დაზიანების გამოვლენა, განსაზღვრა და მათია აღმოფხვრა	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი/სასწავლო გემი	1. შემოწმება სრულდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ხარვეზები და დაზიანებები ვლინდება და ექვემდებარება სათანადო ანგარიშგებას. 2. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოვლინდება არცერთი ხარვეზი ან დაზიანება, ტესტირებისა და გამოცდის შედეგები ნათლად მიუთითებს პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებულ სათანადო კომპეტენციაზე და გემის ნორმალური ნაწილების წუნდებული ან დაზიანებული ნაწილებისგან განსხვავების უნარზე. 3. შეფასებები ეფუძნება აღიარებულ პრინციპებს, საფუძვლიანად განმარტებულ არგუმენტებს და სწორად სრულდება. გადაწყვეტილებები მისაღებია გემების უსაფრთხოებისა და არსებული პირობების გათვალისწინებით.

	ბასთან დაკავშირებით არსებული შეზღუ-დვები და მღუნავ მომენტებსა და ძვრის ძალასთან დაკავშირებით მიღებული მნი-შვნელობების ინტერპრეტაცია. დაუფასო-ებელი ტვირთის გადამტან გემზე კორო-ზიის, დაღლილობისა და ტვირთის არა-სწორი დამუშავებით მიყენებული მავნე ზეგავლენის თავიდან აცილება.			
2.3. კომპეტენციის სფერო: სახიფათო ტვირთების გადაზიდვის უზრუნველყოფა				
22	*საერთაშორისო რეგულაციები, სტანდარ-ტები, კოდექსები და რეკომენდაციები სა-ხიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ (25 სთ) -* სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სა-ზღვაო გადაზიდვების კოდექსისა (IMDG) და მყარი დაუფასოებელი ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების კოდექსის (IMSBC) ჩათვლით. სახიფათო და მავნე ნივთიერებების გადა-ზიდვა; შესაბამისი სიფრთხილის ზომე-ბის მიღება და მოვლა-პატრონობა რეისის განმავლობაში და ტვირთვის დატვირთ-ვა-გადმოტვირთვის დროს.	შეუძლია: სახიფათო ტვირთის გადა-ზიდვის დროს საერთაშორისო მოთ-ხოვნების გამოყენება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / სასწავ-ლო გემი	1. ტვირთის განაწილების გეგმა ეფუძ-ნება საიმედო ინფორმაციას და აკმაყო-ფილებს დადგენილ გაიდლაინებსა და საკანონმდებლო მოთხოვნებს; 2. ინფორმაცია საშიშროების, საფრთ-ხისა და სპეციალური მოთხოვნების შესახებ აისახება იმ ფორმატში, რომე-ლიც იძლევა საჭირო ჩანაწერის ადვი-ლად მოძიების შესაძლებლობას რაიმე ინციდენტის შემთხვევაში.
3. გემის ოპერაციების მართვა და ბორტზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა **3.1. კომპეტენციის სფერო:** გემის ზღვაოსნობისთვის ვარგისობის, მდგარობის, მიბმა-დამაგრების, მდგრადობისა და კორსპუსზე დაძაბულობის მართვა და შენაჩუნება				
23	*გემის მდგარობა (125 სთ) -* ინფორმაციის მიღება გემის მდგრადობის, მიბმა-დამაგრებისა და დატვირთვის გან-რიგების, დიაგრამებისა და კორპუსზე და-ძაბულობის გამოსათვლელი მოწყობილო-ბების შესახებ. დაუზიანებელ მდგომარე-ობაში ნაოსნობის შესაძლებლობის ნაწი-ლობრივ დაკარგვის შემთხვევაში მისაღე-ბი ღონისძიებები. წყალგაუმტარობის სა-ფუძვლების გაგება.	შეუძლია გემის მდგრადობის ანგა-რიშის მომზადება IMO-ს მიერ დად-გენილი კრიტერიუმების შესაბამი-სად.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი)	გემის მდგარობის პირობები აკმაყოფი-ლებს საერთაშორისო საზღვაო ორგა-ნიზაციის (IMO) მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაუზიანებელ მდგო-მარეობაში მდგარობასთან დაკავშირე-ბით გემის დატვირთვის ყოველგვარ პირობებში.
24	*გემის კონსტრუქცია (125 სთ) -* გემის ძირითადი კონსტრუქციული ელე-მენტების და სხვადასხვა ნაწილის სწორი დასახელები. გემის კონსტრუქციის, გემის	შეუძლია: გემების კლასიფიკაცია კონსტრუქციების მიხედვით; გემის კონსტრუქციის მთავარი კომპონენ-ტების და მათი დანიშნულებების,	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი)	1. გემის წყალგაუმტარობის უზრუნ-ველსაყოფად გათვალისწინებული ღონისძიებები აკმაყოფილებს დამკ-ვიდრებულ პრაქტიკას.

	მიბმა-დამაგრებასა და მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების და გემის მიბმა-დამაგრებისა და მდგარობის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები. ნებისმიერი კაბინის დაზიანების შედეგების გავლენა გემის მიბმა-დამაგრებასა და მდგარობაზე, აღნიშნულის საწინააღმდეგო ღონისძიებები. გემის მდგრადობასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეკომენდაციები.	გემის სისტემების შემადგენელი ნაწილების, გემის მდგრადობის პირობების და გემის კორპუსის სიმტკიცის აღწერა და განსაზღვრა.		2. მდგარობა და კორპუსზე დაძაბულობა მუდმივად ნარჩუნდება უსაფრთხო ფარგლებში.
3.2. კომპეტენციის სფერო: დაბინძურების პრევენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა				
25	*საზღვაო გარემოს დაბინძურების პრევენცია და დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურები (75 სთ) -* საზღვაო გარემოს დაბინძურების პრევენციის ზომები. დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურები და მოწყობილობები. საზღვაო გარემოს დაცვის პრაქტიული ღონისძიებების მნიშვნელობა.	შეუძლია: გარემოს დაცვითი პროცედურების განხორციელება საერთაშორისო მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად; ზღვის დაბინძურების პრევენციის ძირითადი მოთხოვნების გამოყენება გემზე მოვალეობის შესრულების დროს.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი)	1. გემის ოპერაციების მეთვალყურეობისა და MARPOL მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის პროცედურები სრულად არის დაცული; 2. გარემოსთან დაკავშირებით დადებითი რეპუტაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესრულებულია.
3.3. კომპეტენციის სფერო: საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების, საზღვაო გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი და კონტროლი				
26	*ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებისა და საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) კონვენციები; საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში გათვალისწინებული საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხები (125 სთ) -* სერტიფიკატები და სხვა დოკუმენტები, რომელთა გემზე შენახვაც მოითხოვება საერთაშორისო კონვენციებით, მათი დამტკიცების წესი და მოქმედების ვადა. დატვირთვის ხაზების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო კონვენციის და მასში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებები ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციისა და მასში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნებით, გათვალის-	შეუძლია: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების შესაბამისი ცოდნა და გააზრება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები	1. ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებისა და საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები ზუსტად განისაზღვრება; 2. პოტენციური შეუსაბამობა დაუყოვნებლივ და სრულად ვლინდება; 3. სერტიფიკატების გეგმიური განახლება და ვადის გაგრძელება უზრუნველყოფს მათ მუდმივ მოქმედებას შემოწმებულ ობიექტებსა და მოწყობილობებთან დაკავშირებით.

	წინებული ვალდებულებები. გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენციით და მასში განხორციელებული ცვლილებებით გათვალისწინებული ვალდებულებები. საზღვაო სანიტარული დეკლარაციები და საერთაშორისო სანიტარული რეგულაციების მოთხოვნები. იმ საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებიც აისახება გემების, მგზავრების, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებაზე. გემებით საზღვაო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მეთოდები და საშუალებები. საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა.			
	3.4. კომპეტენციის სფერო: გემზე ხანძრის პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლის, ეკიპაჟისა და მგზავრების უსაფრთხოებისა და უშიშროების, ასევე სამაშველო საშუალებების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების და სხვა უსაფრთხოების სისტემების საექსპლუატაციო მდგომარეობის უზრუნველყოფა, მართვა და კონტროლი, ავარიულ სიტუაციებში სამოქმედო გეგმებისა და ზიანის მართვის გეგმების შემუშავება			
27	*ხანძარსაწინააღო და ცეცხლსაქრობი საშუალებები (25 სთ)* - ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკა. ხანძრის სახეობებისა და ქიმიური მახასიათებლები. ცეცხლსაქრობი სისტემა. ხანძრის გაჩენის (მათ შორის საწვავის სისტემებში გაჩენილი ხანძრის) შემთხვევაში მისაღები ზომები.	შეუძლია: ხანძრის თავიდან აცილება და მასთან ბრძოლა; ხანძის კატეგორიების განსაზღვრა და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სიმულატორი / ლაბორატორია / სასწავლო გემი)	1. ხანძრის გამოვლენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემების მონიტორინგის პროცედურები ხელს უწყობს ყოველი ავარიული სიგნალიზაციის სწრაფად გამოვლენას და სათანადო ზომების მიღებას ავარიულ სიტუაციებში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად; 2. პრობლემის ტიპი და მასშტაბი სწრაფად განისაზღვრება და პირველადი ზომები შესააბამება ავარიულ სიტუაციებში გემებთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს და მოქმედების გეგმებს; 3. ევაკუაციის, ავარიული გათიშვისა და იზოლირების პროცედურები შეესაბამება ავარიის ხასიათს და სწრაფად ხორციელდება; 4. მოქმედებების თანმიმდევრობის წესი, შეტყობინებების მიწოდების დონე

				და დრო და გემზე მყოფი პერსონალის ინფორმირება შეესაბამება ავარიის ხასიათს და ასახავს პრობლემის გადაუდებლობას.
28	*სიცოცხლის გადარჩენა (25 სთ) -* გემის მიტოვების ორგანიზება. სამაშველო კატარღები და ნავები, მათი ასამუშავებელი მოწყობილობები და საშუალებები, მათი აღჭურვილობის, მათ შორის სამაშველო საშუალებები, რადიოდანადგარები, თანამგზავრული EPIRB, საძიებო-სამაშველო ტრანსპონდერები, ჰიდროკოსტუმები და თერმოდამცავი საშუალებები. თავის გადარჩენის შესაძლებლობები. ხანძრის გაჩენის პრევენცია, ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი ჩაქრობის წესები. ელემენტარული პირველადი დახმარების გაწევის ხერხები. პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი მოვალეობები. სამაშველო საშუალებებთან დაკავშირებული რეგულაციები (ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია). ხანძართან ბრძოლა და გემის დატოვების ორგანიზება. სამაშველო საშუალებები და მოწყობილობები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების და სხვა უსაფრთხოების სისტემების საექსპლუატაციო მდგომარეობის უზრუნველყოფა. ავარიის შემთხვევაში გემბანზე მყოფი პირების დასაცავად მისაღები ზომები. ხანძრის, აფეთქების, შეჯახების ან მეჩეჩზე დაჯდომის შედეგად გემის დაზიანების მინიმუმამდე დაყვანის და გადარჩენის უზრუნველყოფის ღონისძიებები. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების მიზნით სამოქმედო გეგმების შემუშავება. გემის კონსტრუქცია, ზიანის კონტროლის ჩათვლით.	შეუძლია: გემზე ინდივიდუალური და კოლექტიური სამაშველო საშუალებების გამოყენება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, სასწავლო გემი)	1. პრობლემის ტიპი და მასშტაბი სწრაფად განისაზღვრება და პირველადი ზომები შესააბამება ავარიულ სიტუაციებში გემებთან დაკავშირებულ ინსტრუქციებსა და მოქმედების გეგმებს. 2. გემის დატოვების და თავის გადარჩენის საშუალებები შეესაბამება არსებულ გარემოებებს და პასუხობს დამკვიდრებულ პრაქტიკასა და მოთხოვნებს უსაფრთხოების სფეროში. 3. შესაბამისი უსაფრთხოებისა და დამცავი აღჭურვილობა სათანადოდ გამოიყენება. პროცედურები და უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკა, რომელიც შემუშავებულია პერსონალისა და გემის უსაფრთხოების დასაცავად, ყოველთვის სრულდება. 4. გარემოს დასაცავად შემუშავებული პროცედურები ყოველთვის სრულდება. საწყისი და შემდგომი ზომები გადაუდებელი სიტუაციების შესახებ მონაცემების მიღების მიზნით შეესაბამება გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების პროცედურებს. 5. ავარიულ სიტუაციებში მიღებული ზომები შეესაბამება ავარიულ სიტუაციებში განსაზღვრულ სამოქმედო გეგმებს.

	ხანძრის პრევენციის, გამოვლენისა და ჩაქრობის მეთოდები და საშუალებები. სამაშველო საშუალებების ფუნქციები და გამოყენება.			
	3.5. კომპეტენციის სფერო: ლიდერის, ხელმძღვანელის, გუნდთან მუშაობის უნარები			
29	*გემზე პერსონალის ხელმძღვანელობისა და მისი მომზადების ასპექტები; შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო კონვენციები და რეკომენდაციები, ასევე ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები (50 სთ) -* შესაბამისი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და რეკომენდაციების, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. ამოცანებისა და სამუშაო დატვირთვის მართვის მეთოდები, მათ შორის: ○ დაგეგმვა და კოორდინირება; ○ შესაბამისი პერსონალის დანიშვნა; ○ დროისა და რესურსების უკმარისობა; ○ პრიორიტეტების განსაზღვრა. რესურსების ეფექტურად მართვის მეთოდები: ○ რესურსების განაწილება, მათი ვალდებულებების განსაზღვრა და პრიორიტეტებად დაყოფა; ○ გემსა და ნაპირზე ეფექტური კავშირის დამყარება; ○ გუნდური მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება; ○ დამაჯერებლობა, ლიდერობა, მოტივაცია; ○ სიტუაციის შესახებ ინფორმირების მიღწევა და უზრუნველყოფა. გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და მათი მიღების შესაძლებლობა: ○ სიტუაციებისა და რისკების შეფასება; ○ დამუშავებული ვარიანტების განსაზღვრა და განხილვა; ○ მოქმედების მიმართულების შერჩევა; ○ შედეგების ეფექტურობის შეფასება. სტანდარტული საექსპლუატაციო პროცე-	შეუძლია: პერსონალის მოტივაციის, ინდივიდუალური ქცევის, გუნდური მუშაობის, ორგანიზაციული კულტურის ფორმირების, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კომპლექსური საკითხების გათვალისწინება და ლიდერისა და მენეჯერის უნარების წარმოჩენა.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (სასწავლო გემი)	1. ეკიპაჟის მოვალეობების განაწილება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება სამუშაოსა და ქცევის სავარაუდო სტანდარტების შესახებ ხორციელდება შესაბამისი კონკრეტული პირის თვისებების გათვალისწინებით. 2. წვრთნისა და საქმიანობის მიზნები ეფუძნება არსებული კომპეტენციისა და უნარების, ასევე საექსპლუატაციო მოთხოვნების შეფასებას. 3. ოპერაციების დემონსტრირება ხდება მოქმედი წესების შესაბამისად. 4. ოპერაციები იგეგმება და რესურსები ნაწილდება აუცილებელი დავალებების შესრულების მიზნით, სათანადო თანმიმდევრობის დაცვით. 5. ინფორმაცია გარკვევით და არაორაზროვნად გადაიცემა და მიიღება. 6. ხდება ხელმძღვანელობის ეფექტური ქცევების დემონსტრირება. 7. გუნდის საჭირო წევრ(ებ)ი იზიარებს(ენ) გემის მიმდინარე და პროგნოზირებული მდგომარეობის, საექსპლუატაციო მდგომარეობის, ასევე გარემოს შესახებ ზუსტ ცოდნას. 8. გადაწყვეტილებები ყველაზე ეფექტურია მოცემულ სიტუაციაში.

	დურების შემუშავება, სისრულეში მოყვანა და კონტროლი.			
	3.5. კომპეტენციის სფერო: გემზე სამედიცინო საშუალებების გამოყენება, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა			
30	*სამედიცინო დახმარება* (30 სთ)* - სამედიცინო სახელმძღვანელოების გამოყენება, რადიოს საშუალებით გადაცემული სამედიცინო კონსულტაციები, უბედურ შემთხვევებში ან გემის პირობებისთვის დამახასიათებელი დაავადებებისას განსახორციელებელი ზომები. საერთაშორისო სამედიცინო სახელმძღვანელო გემებისთვის და შესაბამისი ეროვნული პუბლიკაციები. სიგნალების საერთაშორისო კოდექსის სამედიცინო ნაწილი. სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებისას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სახელმძღვანელო.	შეუძლია: გემზე პირველადი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.	• თეორიული სწავლება; • პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია)	1. ტრავმის გამომწვევი შესაძლო მიზეზის, მახასიათებლებისა და სიმძიმის დონის ან დაავადების იდენტიფიცირება ხდება დაუყოვნებლივ და მკურნალობა მინიმუმამდე ამცირებს სიცოცხლეზე უშუალო საშიშროებას. 2. შესაბამისი ზომების მიღებისა და პროცედურების შესრულებისას გათვალისწინებულია და სრულად გამოიყენება არსებული რეკომენდაცია.

3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

დარგის ასპექტის №	სპეციალური მოთხოვნები
2, 5, 6, 8, 10, 11, 15, 16, 19	უმაღლესი საინჟინრო/საზღვაოსნო მეცნიერებათა სფეროს ან მასთან გათანაბრებული განათლება, შესაბამის საგანმანათლებლო პროგ-რამასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. განმახორციელებელს უნდა ჰქონდეს 3-წლიანი სწავლების გამოცდილება ბოლო 10 წლის განმავლობაში ან გავლილი ჰქონდეს ინსტრუქტორის, ზედამხედველის და შემფასებლის მომზადების კურსი; გავლილი უნდა ჰქონდეს მეზღვაურთა შეფასების მეთოდიკასთან დაკავშირებული მომზადება.
18	უმაღლესი განათლება ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით/ინგლისური ენის სწავლების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და საზღვაო სფეროში მუშაობის გამოცდილება ან პუბლიკაცია.
26	უმაღლესი იურიდიული განათლება საზღვაო სფეროში ან/და იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლის კომპეტენცია დას-ტურდება საზღვაო სფეროში მუშაობის გამოცდილებით ან პუბლიკაციით.

3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

დარგის ასპექტის №	სპეციალური მოთხოვნები
2, 3, 4, 5, 10, 11, 15, 16, 29	სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვის სიმულატორი
20, 21, 23	სატვირთო-საბალასტო ოპერაციების სიმულატორი
2, 5, 6, 10, 13	ECDIS სიმულატორი
28	ინდივიდუალური და კოლექტიური სამაშველო საშუალებების ლაბორატორია
2, 6, 10, 12	ARPA-RADAR სიმულატორი
30	პირველადი სამედიცინო დახმარების ლაბორატორია
2, 17	GMDSS სიმულატორი
2, 3, 4, 7, 8, 10, 11, 15, 16, 20, 21, 23, 24, 28, 29	სასწავლო გემი
1	ასტრონავიგაციური ხელსაწყოების ლაბორატორია
27	ხანძართან ბრძოლის ლაბორატორია
5, 7, 11, 14, 16	სანავიგაციო ლაბორატორია

4. დამატებითი ინფორმაცია

1) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს IMO-ს მოდელ-კურსებში გათვალისწინებულ ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის, ასევე საინ-ფორმაციო ტექნოლოგიების/კომპიუტერული უნარების, ზოგადი ინგლისური ენისა (B2 დონე) და საზღვაო გზების გეოგრაფიის სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც არ მიეკუთვნება ძირითადი სპეციალობის კომპონენტს და რომელთა მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება სა-განმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებისამებრ.

2) ძირითადი სპეციალობის არჩევით ნაწილში მოიაზრება ძირითადი სპეციალობის და საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კურსები/ მოდულები/სხვ., რომლებიც ხელს შეუწყობენ პროფესიული მოვალეობების შესრულებას ან/და გააფართოვებენ კომპეტენციებს საზღვაო სფეროში.

3) ზემოთ არსებულ „დარგობრივი კომპეტენციების“ ცხრილში მითითებული:

- დარგის ასპექტების დასახელებები შესაძლოა დაემთხვეს სასწავლო კურსის/კურსების დასახელებას/დასახელებებს;
- საათების რაოდენობა ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს (შეიძლება იყოს დაზუსტებული - გაზრდილი / შემცირებული არაუმეტეს ერთი კრედიტის ფარგლებში - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ) და წარმოადგენს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამს;
- „სამედიცინო დახმარება“ საგანმანათლებლო პროგრამაში გაითვალისწინება საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებისამებრ;
- სასწავლო გემი ან სხვ. შეიძლება იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ან იმ დაწესებულების/ ორგანიზაციის ექვივალენტური მატერიალური რესურსი, რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს მოქმედი კანონმ-დებლობით დადგენილი წესით დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

4) საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტში მოიაზრება:

- სასწავლო/საწვრთნელი პრაქტიკა - საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-გან-ვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის კომპონენტში გათვალისწინებული პრაქტიკა;
- დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის საწვრთნელი ნაწილი (ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი) - მეზღვაურის სერტიფიცირების მიზნისთვის, გემზე წვრთნის პროგრამა STCW კონვენციის II/1 რეგულაციით დადგენილი სტანდარტებისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა ითვალისწინებ-დეს არანაკლებ 12-თვიან დამტკიცებულ საზღვაო პრაქტიკას როგორც საწვრთნელი პროგრამის ნაწილს (ფიქსირდება წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკში, წარმოადგენს დოკუმენტურ მტკიცებულებას, ამტკიცებს საგანმანათლებლო დაწესებულება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მი-ერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად), საიდანაც 6-თვიანი სტაჟი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო-საწვრთნელ ნაწილს ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად, ხოლო დანარჩენი 6 თვე წარმოადგენს საწვრთნელი პროგრამის ნაწილს მეზღვაურის სერტიფიცირების მიზნებისთვის.

III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	**ქრისტინა რზგოევა**	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	იურიდიული სამმართველოს უფროსი
2.	**დავით ჯინჭარაძე**	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	მეზღვაურთა დეპარტამენტის მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
3.	**ნათია ღოღობერიძე**	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	მეზღვაურთა დეპარტამენტის მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მ.შ.
4.	**აბდულ კახიძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	რექტორის მოადგილე
5.	**ირაკლი დოლიძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღავო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი
6.	**მიხეილ ლეჟავა**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
7.	**ზაზა შუბლაძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	გემთმეკანიკური დეპარტამენტის უფროსი
8.	**მაია ტუღუში**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	გემის ელექტრომექანიკის პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
9.	**ლუიზა სიხარულიძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
10.	**გივი ციცქიშვილი**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	მოწვეული სპეციალისტი, შორეული ნაოსნპობის კაპიტანი
11.	**ოთარ ჯიჯავაძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი
12.	**ზურაბ ბეჟანოვი**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	უცხოენათა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი
13.	**კოტე ბოლქვაძე**	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	მასწავლებელი
14.	**ლალი ხვედელიძე**	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	კანცლერი
15.	**ეკატერინე მუსხაჯბა**	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი
16.	**გურამ ქათამაძე**	შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“	სასწავლო განყოფილების უფროსი
17.	**გიორგი უღრელიძე**	შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“	მასწავლებელი